

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი
რეგიონალური კვლევების მიმართულება

ნინო საღინაძე

სამაგისტრო ნაშრომი, თემაზე:

ევროკავშირის შესაძლებლობები
კონფლიქტების მოგვარების სფეროში

ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი არჩილ აბაშიძე

თბილისი
2011

შინაარსი:

შესავალი-----	3
1. ევროკავშირის ისტორიული განვითარება	
1.1. ევრო-ინტეგრაციის საფუძვლები-----	5
1.2. ევროკავშირის პოლიტიკური განვითარება და ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა-----	7
2. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი	
2.1. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა-----	12
2.2. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის განვითარება (1988-1994 წწ)-----	14
2.3. ცეცხლის შეწყვეტა და მედიატორების როლი-----	17
2.4. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარე მოვლენები-----	20
2.5. ყარაბაღის კონფლიქტში ჩართული მედიატორების როლის შეფასება-----	20
3. იუგოსლავიის დაშლა	
3.1. იუგოსლავიის კრიზისის ისტორიული განვითარება-----	22
3.2. იუგოსლავიის კონფლიქტში ჩართული მედიატორების როლი და ევროკავშირის მარცხი-----	24
3.3. ევროკავშირის როლის შეფასება იუგოსლავიის კონფლიქტში-----	27
4. კოსოვოს კონფლიქტი	
4.1. ევროკავშირის პოლიტიკური განვითარება იუგოსლავიის კონფლიქტის შემდეგ---	28
4.2. ევროკავშირის, ნატოს და გაეროს როლი კოსოვოს კონფლიქტში-----	30
4.3. ევროკავშირის სამხედრო ოპერაციები საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში-----	34
4.4. დასავლეთის შესაძლებლობების შეფასება კოსოვოს კრიზისში-----	35
5. რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი	
5.1. რუსეთ საქართველოს შორის დაწყებული უთანხმოების გამომწვევი მიზეზები---	37
5.2. 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობა და მედიატორების როლი-----	41

- 5.3. სარკოზის 6 პუნქტიანი შეთანხმების შედეგები და ევროკავშირის როლის შეფასება საქართველოს კონფლიქტის მიმართ-----47
დასკვნა-----49

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიოში დაიწყო ცვლილებების ხანა. განსაკუთრებით ევროპის კონტინენტზე, სახელმწიფოებში იფეთქა კონფლიქტებმა. სოციალიზმის ნგრევამ და პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი სუვერენული სახელმწიფოების აღმოცენებამ, გამოიწვია ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე და შეიცვალა სახელმწიფოების პოლიტიკა ერთმანეთის მიმართ.

კონფლიქტების გამწვავებასთან ერთად ვითარდებოდა და იცვლებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქცია-მოვალეობები და მათი ქმედებები სახელმწიფოების მიმართ. წარმოიშვა პოლიტიკური, ეკონომიკური და რეგიონალური დაპირისპირებები, რომელიც ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო ორგანიზაციები ჩამოყალიბდნენ, როგორც მნიშვნელოვანი გლობალური აქტორები, რომლებიც აქტიურ როლს ასრულებენ საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განიხილოს ის ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნიათ შესაძლებლობები, მოახდინონ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებების პრევენცია.

ნაშრომი ეხება, იმ ეთნიკურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ კონფლიქტებს, რომლებიც განვითარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროპის კონტინენტზე; განხილული იქნება კონფლიქტების ისტორიული განვითარებები და მათი მსვლელობის დროს ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების როლი. კონკრეტულად კი, ფართოდ განვიხილავ ევროკავშირის შესაძლებლობებს, კრიზისის მართვის სფეროში. ნაშრომი ეხება ისეთ კონფლიქტებს, როგორც არის 70-იან წლებში განვითარებული კვიპროსის კონფლიქტი; ყარაბაღის კონფლიქტი-სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის; გასული საუკუნის 90-იან წლებში, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა, სადაც პირველად ჩაერთო ევროკავშირი აქტიურად; აგრეთვე განვიხილავ ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან კონფლიქტებს კოსოვოში და საქართველოში, რომლებიც მნიშვნელოვნად